მარტყოფის მონასტერი, როგორც თვით წმ. ანტონის მცხოვრების აღწერისაგან სჩანს, აღშენებულია წმ. ანტონისაგან. კოშკი, რომელზედაც აშენდა მონასტრის მმართველი 15 წელიწადი, დღესაც არის. ამ კოშკში აღის ეფორა და ციკაბო შესავალი, რომელზედაც ყველას არ შეუძლია ასვლა. მონასტრებმა განსაკუთრებით გაითქვა სახელი მაცხოვრის ხელთუქმელის ხატის მეოხებით; ეს ხატი მოიტანა თვით ანტონმა. როცა მეთოხმეტე საუკუნის დამლევს საქართველოს დაეცა თამერლანი, მარტყოფის ეპისკოპოსმა გიორგიმ დამალა სენებული ხატი საიდუმლო ადგილს, და რადაც ეპისკოპოსი მოკლეს, ამიერიც ეს ხატი დ იკარება. მარტყოფის მონასტრის მეორე ხატი მაცხოვრისა ინახებოდა 1752 წელსი თბილისის სიონის ტაძარში. მარტყოფის მონასტერი ეკუთვნოდა რუსთავის ეპარქიას, რომელიც დაარსა მცხეთე საუკუნეში მეფე ვახტანგ გორგასლანმა. თუმცა ეს მონასტერი იყო რუსთავის ეპისკოპოსის გამგეობასა ქვეშე, მაგრამ წმ. ანტონის პატივსაცემად ხშირად ამ მონასტრის წინამძღვრად ჰყავდა ხელმე ეპისკოპოსები, რომელნიც ემორჩილებოდენ რუსთავის ეპისკოპოსს. როცა მეცამეტე საუკუნეში ქალაქი რუსთავი აოხრებულ იქნა, აქაური ეპისკოპოსები გადაესახუნენ მარტყოფის მონასტერში, ხოლო 1752

წელში სცხოვრებდნენ სოფელს მარტყოფში. რუსთავის ეპისკოპოსებში შესანიშნავნი არიან ზოგიერთები, რომელთაგან განსაკუთრებით ყურადღების ღირსნი არიან: ქრისტეფორე, რომელიც 1732 წელში იყო მოსკოვში და იმპერატრიცა ანა იოანნის ასულს სთხოვა, რათა მას შემწრობა აღმოეჩინა საქართველოსათვის თათრების წინააღმდეგ; იოანნე პირველი, რომელიც არა ერთ გზის ახლდა ხოლმე რუსეთში ქართლის მეფეს თემურჩაზს 1760 წელში და უკანასკნელი რუსთავის ეპისკოპოსი სტეფანი, რომელმაც აღაშენა ტაძარი სოფელს მარტყოფში და რომელიც გარდაიცვალა 1834 წელში. მარტყოფის მონასტერი განაზღვრულ იქნა კერძო პირთაგან შემოწირული ფულებით საქართველოს ექსარხოსად ყოფილის, დღეს პეტერბურგის და ნოვგოროდის მიტროპოლიტის ისიდორესაგან.

ამ მიზნით ეს მთავარ-ეპისკოპოსი საქართველოში ექსარხოსად მყოფობის დროს ვემეზაგრა მონასტერში 1846 წელში. თავის თვალთ დათვალიერისაგან და განიზრახა მისი განახლება. მათი მეუღეების ყოწრახევის მხარი მისცა ხალხმაც. მალე მოაშაზდეს ყოველივე, რაც კი საჭირო იყო უმთავრესი ტაძრის განახლებისათვის. მეორე წელს 25 იანვარს მიღებულ მთავარი ხელახლად მივიდა სოფელ მარტყოფში და და მონასტერში მრავალი ხალხის თანადსწრებით შეასრულა პარაკლისი და აკურთხა მუშები, რომელთაც უნდა განეახლებიათ წმ. ანტონის მონასტერი და ტაძარი. ხალხის სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა. მთავარ-ეპისკოპოსის მეცადინეობით ტაძრის და მონასტრის შეკეთების და განახლების საქმე ძალიან წარმატებით წავიდა. პირველად მიადგინენ იმ უმთავრესი ტაძრის განახლებას, სადაც არის სასაფლაო წმ. ანტონისა, მაგრამ რადგან ამ ტაძრის განახლებას დიდი დრო უნდოდა, ხოლო მოაკვეთებისათვის, რომლებიც ბლომად დაიარებოდნენ მონასტერში, საჭირო იყო საღმრთო წირვის მოსმენა, ამიტომ მოაშაზდეს წმ. გიორგის ძველი ეკლესია, რომელიც მდებარეობდა მთის მწვერვალზე. 16 აგვისტოს, როცა დღესასწაულობენ მაცხოვრის ხელთუქნელი ხატის დღესასწაულს, ვადმოასვენენ თბილისის სიონის ტაძრიდან მაცხოვრის ხატი, რომელიც ინახებოდა იქ 1752. წლიდან და ამავე დღეს აკურთხეს ეს ეკლესია.

რამდენიმე ხნის შემდეგ უმთავრესი ტაძარი და მონასტერი შეაკეთეს და განაახლეს, კედლები აიკონანეს, მონაზონთა საცხოვრებელი ოთახები და მონასტრის სხვა შენობები შეაკეთეს. ყოველივე ეს მოხდა მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ექსარხოსად ყოფილის, დღეს პეტერბურგის და ნოვგოროდის მიტროპოლიტის ისიდორეს წინადადებით და მოღვაწეობით.

ამ დღიდან მარტყოფის მონასტერში ზოფხულობით სცხოვრებენ ხოლმე საქართველოს ექსარხოსები. და მართლაც მზილისის მახლობლად არსდა არ არის მარტყოფზე უკეთესი საზოფხულო ადგილი. აქაური წმიდა პავლი და ზომიერი ჰევა მშვენიერად მოქმედებს კაცის ჯანმრთელობაზე.

ღირსი ანტონი, მარტყოფის სასწაულთ-მოქმედი, სვეტი სამართიველოს მკალსიისა.

წმიდა ანტონ მარტყოფელი იყო ერთი იმ ცამეტ სირიელ მამათაგანი, რომელთაც ყოვლად წმ. ქალწულის მართობის ბრძანებით გააწათეს და გააშმეგნეს საქართველოს ახლად დაარსებულ ეკლესია, რომელიც წილად ჰედა ღვთის-მშობლის. ამ ცამეტ მამათა წინამძღვარი იყო წმ. იოანნე ზედაზნელი. ამ წმ. მამას მოჰყვა თან სასწაულთ მოქმედი ანტონი, რომელიც თავისი განცალკევებული ცხოვრებისათვის წოდებულ იქნა მარტყოფელად. წმ. ანტონ თავის მოღვაწეობის დროს თან ჰქონდა ერთი ანგუზი, რომელზედაც გამოხატული იყო ხელთ-უქნელი სახე ქრისტე მაცხოვრისა.

ბოვიდა თუ არა საქართველოში, იოანნემ, ღვთის-მშობლის რჩევით, ვეზუნა წმ. ანტონი საქადაგებლად კახეთში, სადაც წმიდანის ქადაგებამ დიდი სარგებლობა მოიტანა. მრავალ მთიელ კერპთაყვანისმცემელთ იწამეს ქრისტე და მოინათლენ. წმ. ანტონიმ დაიარა კახეთის ყველა ადგილები, მას დაუფელი არ გაუშვია არც მთები და არც მიუვალი კლდეები, ყველგან უქადაგებდა კერპთაყვანისმცემელთ ქრისტეს სწავლას. ამ მოგზაურობის დროს წმ. ანტონიმ ინახულა თავისი თანამომემნი ღირსი ზენანი იკალითელი, წმ. შიო მღვიმელი, რომელიც სცხოვრებდა არტაზინის მთაზე და წმ. მამა იოსები, ეპისკოპოსი აღაფერისა, ბოლოს წმ. ან-

ტონი დაბინავდა კახეთში ლონოატის ხეობაში. აქ წმ. ანტონიმ იწყო მღვდელ-მონაწიური ცხოვრება და ყველანი განკვირვებულნი მოჰყავდა მას თავის სასწაულუღბლო, რომლებსაც წმიდანი იქმნოდა მცხოვრების ხატის შექმნობით მრავალნი იწამეს ქრისტეს; ისეთი პირებიც აღმოჩნდნენ, რომელთაც განიზრახეს წმიდა ანტონთან ერთად ცხოვრება. წმ. ანტონის ცხოვრების მიმბაძველნი იმდენი აღმოჩნდა, რომ წმიდანმა საჭიროდ დაინახა მათთვის მონასტრის აღწენება მდინარე ალაზანის ვადებით. მაგრამ წმ. ანტონს სურდა გაცალკეებული ცხოვრება; ამიტომ მან დასტოვა მისგან აღწენილი მონასტერი და საცხოვრებელ ადგილად აღმოიჩინა ერთი სრულიად დაუსახლებელი ადგილი, სახელად ანბეტი. მაგრამ აქედ დიდხანს არ დამტყარა განცალკეებული ცხოვრებით წმ. ანტონი. მახლობელი ადგილების მცხოვრებლებმა მალე მიაგნეს წმ. ნი და იწყეს მასთან სიარული. იმ სასწაულებმა, რომელთაც იქმნოდა წმ. ანტონი, ისე მიიზიდა ხალხი, რომ მწახველები მოსვენების არ აძლევდნენ წმიდანს და ამიტომ იგი იძულებული შეიქმნა მიტარებოდა ეს ადგილიც. და ბოლოს წმ. ანტონიმ თავის საცხოვრებელად აღმოიჩინა აკრიანის მთა, რომელიც დაფარული იყო დაზურული ტყით. აქ მთის მწვერვალზე წმ. ანტონიმ თვითონ გამოქვაბა კლდე და დაბინავდა მასში. ღლე და ღამე წმიდანი ლოცვილობდა თავის სასწაულთ-მოამქმედი ხატის წინაშე. თავდაპირველად წმიდანი საზრდოვანად მთის საუცხოვო მცენარეულობით, მაგრამ შემდეგ ღვთის განგებამ გაუჩინა მას სხვა საზრდო: გარეული ირმები, რომლებიც ბლომად იყენენ ამ ტყეში, სასწაულებრივი სახით მოდიოდნენ წმიდანთან დანიშნულს დროს და თავის რძით ჰკვებდნენ წმიდანს. მაგრამ ამ არემარის მცხოვრებლებმაც მალე მიაგნეს წმ. ანტონი ხსენებული ირმების შემყვით. ერთხელ ამ სოფლის რამოდენიმე კაცი, მათ რიცხვში სოფლის მამასახლისიც, ნადირობდნენ ირმებზე. ანტონის ირმებმა ამ დღეს რაღაცა დიდიგინანს და თავის დროზე არ მოვიდნენ წმიდანთან; ბოლოს ირმებმა მოიბრინეს, მაგრამ ძალიან შეზინებულნი კი იყენენ, ერთი მათგანი დაჭრილიც იყო და სისხლისაგან იცლებოდა: მოხუცებული გაცივდა, ის არ ფიქრობდა, თუ მახლობლად სოფელი იყო, წაიღო თავის წმიდა ხატი და უკან გაჰყვა ირმებს, უნდოდა შეეტყო, თუ რამ შეაზინა

მისი ირმები. აქ მოხუცებული შეხვდა ხსენებულს მამასახლისს, სახელად ნორიოს. მამასახლისი განკვირვდა ამ უცნობი კაცის შეხვედრამ, მან არ იცოდა თუ ვინ იყო ამ მოხუცებული, რომელსაც გულზედ ეყდა ხატი და ისე იბოვა ვარუთ ირმებს შორის, როგორც შინაურ ღვთაებებში. მამასახლისმა და წმ. ანტონიმ დაიწყეს ლაპარაკი, მაგრამ რადგან წმ. ანტონიმ არ იცოდა ადგილობითი ენა, მამასახლისმა ევრაფერი ევრ გაუგო მას; მამასახლისმა მიიღო წმ. ანტონი საშიშარ კაცად და ანიშნა, რომ მოსჭრის მას მარჯვენა ხელს, რომლითაც წმიდა ანტონი ანიშნებდა მამასახლისს იმ მთას, სადაც საცხოვრებელად წმიდანი. მამასახლისმა უსრძაძა თავის მხლებლებს წყევანათ მოხუცებული სამკვდლოში და იქ მოექრათ მისთვის ხელი. სამკვდლოში გაახურეს რკინა, გამოიღეს ცეცხლიდან და ის-ის იყო, უნდა დესაჯათ წმიდანი, რომ ამ დროს მკვდელს ხელიდან გაუშვდა. „დასარულე, რაც ნაბრძანები გაქვს“, უთხრა თავის ვნაზე წმ. ანტონიმ შიშისაგან დაძურებულ მკვდელს. ამავე დროს მკვდელს ხელი მოუჭრა. შეგლო იქ დამსწრენი გააკვირდა ამ სასწაულმა; მათ მაშინვე აცნობეს ეს ყოველივე მამასახლისს. მამასახლისმა მოიხმო თავისთან წმ. ანტონი და უთხრა მას: «მითხარი მე, რაცა გსურს და მე აღვასრულებ ყოველივე შენს სურვილს». მოხუცებულმა მუნჯურად სთხოვა მას ქვის მარილის პატარა ნატები, რომელიც მაშინვე მოუტანეს მოხუცებულს. წმ. ანტონიმ იქ ორ ნაჭერ ქვის მარილს მოსტება, რაც უნდოდა. შემდეგ წმ. დაბრუნდა თავის გამოქვაბულში. მალე დაბრუნდნენ წმიდანის ირმებიც, რომელთაც წმ. ანტონიმ მისცა მამასახლისისაგან მიცემული მარილი. თუმცა ამ გარემოებამ ცოტა ოდნე შეარყია წმ. ანტონის განცალკეებული ცხოვრება, მაგრამ მალე ისევ მყუდროება ჩამოეარდა, და წმ. ანტონიმ ხელახლად იწყო მშვიდობიანად მოღვაწეობა გამოქვაბულში. წმ. ანტონის სასწაულებრივი გადარჩენის ხმა მალე გაისმა მახლობელ არემარეში და მასთან იწყო სიარული ხალხმა, რომელსაც სურდა წმიდანისაგან დარიგებისა და კურნების მიღება. მრავალი გაიტაცა წმიდანის განცალკეებულმა ცხოვრებამ; ზოგიერთებმა განიზრახეს მიებაძთ წმ. ანტონის ცხოვრებისათვის. ასეთმა პირებმა იწყეს წმ. ანტონის გამოქვაბულის

მასობრივად ცხოვრება. იგინი იყენენ წმიდანის
მხედველობასა და ხელმძღვანელობის ქვეშე. წმიდა
ანტონის მიზამხელთა რიცხვა ისე იმატა, რომ
წმიდანმა საჭიროდ დაინახა მათთვის მონასტრის და
ეკლესიის აღშენება. მს შერობები წმიდანმა აღაშენა
ტიანი მთის მოედანზე. ამავე მთის მწვერვალზე წმ.
ანტონმა აღაშენა თავისთვის კოშკი ექვს საყენიან
სვეტის სახედ და აქ გაატარა მან 15 წელიწადი;
იგი დღე და ღამე გამუდმებით ლოცვილობდა თავის
სასწულთ-მომამქვედი ხატის წინაშე. ხანდისხან წმი-
დანი ჩამოდიოდა ამ სვეტიდან მათა დასარიგებ-
ლად და მათთვის ღვთის-მსახურებისა და საიღუმ-
ლოთა შესასრულებლად. ღრო გამოშვებით წმიდანი
დადიოდა მახლობელ სოფლებში, გულზე ეკიდა
თავის ხატი, უკადაგებდა მცხოვრებლებს ქრისტეს
სიტყვას და იქმოდა სასწაულებს. ამ მიზეზისა გამო
მეუდაბნაოეთა რიცხვი დღითი დღე მატულობდა და
წმიდანის მნახველები ყოველ დღე ასობით მოდიო-
დნენ; ხალხს მოჰყავდა წმიდანთან სწეულნი და უძლეუ-
რნი, რომელთაც წმიდანი ჰკურნებდა თავისი
ლოცვით.

სხე მიმდინარეობდა წმ. ანტონის ცხოვრება,
სასე დაყუდებულის სამაგალითო ცხოვრების მაგა-
ლითებითა, ბოლოს დადგა ღრო, როცა წმ. ანტონი
უნდა გადასახლებულიყო ზეციურ სავანესა შინა.
როცა წმ. ანტონი კვდებოდა, დაჩოქილი იყო და
მხურვალედ ლოცვილობდა მცხოვრის ხატის წინაშე,
რომელიც დაუტოვა მან თავის მოწაფეებს. ბარდაცვალე-
ბის შემდეგ მისმა მოწაფეებმა ჩამოასვენეს წმიდა-
ნის გვაში სვეტიდან და დასვენეს იგი თავის ტა-
ძარში ადგილობითი ღვთის-მშობლის ხატის წინაშე.
მინე კი სარწმუნოებით მიდიოდა წმიდანის საფლა-
ვთან, ყველანი იღებდნენ კურნებას. წმიდა ან-
ტონის ხსენებას ღღესასწაულობს ეკლესია ჩვიდმეტ
ინავრს.

სიბრძნე ისრაელისა ზირაქისა.

ყოველივე სიბრძნე უფლისაგან არს. წყარო
სიბრძნისა არს სიტყვა უხუნანესის ღვთისა; რადგან
იგი მხოლოდ არს ბრძენ, საშინელმფრთოდ, მჯდომარე
საყდარსა ზედა თვისსა. უფალმა ღვით გააჩინა
სიბრძნე, იხილა იგი, აღრაცხა იგი და მიჰმალდა თა-
ვის ყოველივე საქმეს, ყოველს ხორციელსა მიმად-
ლებსაებურ მისისა და განსაკუთრებით მიანიჭა სიბრძნე
მოყვარეთა მისსა.

თუ გსურს სიბრძნე, აღასრულე მცნებანი, და
უფალი მოგანიჭებს შენ სიბრძნეს. საყვარული ღვთისა
არს უმწვენიერესი სიბრძნე.

დასაბამი სიბრძნისა არს შიში ღვთისა; სისრუ-
ლე სიბრძნისა არს შიში ღვთისა; ძირი სიბრძნისა
არს შიში უფლისა; გვირგვინი სიბრძნისა არს შიში
უფლისა, აღმაყვავებელი ღვთის ნიჭთა: მშვიდობისა
და სიმრთელისა.

შიში უფლისა არს დიდება და პატივი, და გვირ-
გვინი სიხარულისა; იგი დაატკბობს გულსა და მია-
ნიჭებს კაცს სიხარულსა და დღეგრძელობასა. ღვთის
მოშიშს კეთილ ეყოფის უქანანველსა მას ღღესა, ხოლო
სიკვილისა ქამს იგი მიირღებს უკრთხევას.

შიში ღვთისა არს ნიჭი, მონიჭებული უფლისა-
გან; იგი აუენებს კაცს საყვარულის გზაზე და მოს-
პობს ცოდვითა; რომელსა არა აქვს შიში ღვთისა,
მას არ შეუძლია გამართლება.

სიბრძნე და მსწავლულება არს შიში წინაშე
უფლისა და სათნოება მისი არს სარწმუნოება და
სამშვიდე. ნუ შეორაგულები შიშისათვის უფლისა და
ნუ მიებახლები უფალსა გულითა ორკეცითა.

მოშიშნო ღვთისანო! მლოდეთ წყალობასა და
ნუ განემორაგებთ მასს, რათა არა დაიღუპნეთ. მო-
შიშნო უფლისანო! ერწმუნეთ მასს, და არ დაიღუ-
პებათ კილითა თქვენი. მოშიშნო უფლისანო! სასოებ-
დედ ვართლსა, საუკუნო სიხარულსა და მოწყობებასა.

მოშიშნი ღვთისანი წინ არ აღუდგებიან სიტყ-
ვითა მისთა, და მოყვარენი მისნი აღასრულებენ
რჯულსა; მოშიშნი უფლისანი ეძიებენ სათნოებასა
მისსა და მოყვარენი მისნი აღასრულებენ სჯულსა.
მოშიშნი უფლისანი განამზადებენ გულთა თვისთა და
მის წინაშე დაიმდაბლებენ სულთა თვისთა.

ითუ შენა გსურს ემსახურო ლმერთს, განუშხადე გული შენი, იყავ ბეკიციღ, მიიხაზღე უფალსა და ნუ განემორბები, ვინაიღან უფალი არს შემწყწარებელ და მოწყალე, მიგრტეებს ცოდვათა და ნუგეშსა გცემს მუწხარების ემასა: ვითარი არს ღიდება მისი, ისეთავე მისი მოწყალებაჲც.

შეამდეს იგი და სასობედე მასზე, და იგი დაგიფარავს შენ. შოველივე, რაც კი რამ უნდა შეგემთხვეს შენ, სინარულით მიიღე და დამკირებასა შინა იყავ სულგრძელ; ვინაიღან ოქრო გამოიციხოზის ცეცხლში, ხოლო კაცნი, ლეთის მოშიშნი, სახმელსა შინა სიმდაბლისასა.

მაი გულთა მოშიშართა და ხელსუსტ კაცთა! ეთი ცოდვილსა, რომელიც ადვია ორ გზას! ეთი გულსა დახსნილსა? ვინაიღან მას არა სწამს და ამიტომაც იგი არ იქმნების დაფარულ. ეთი თქვენ, რომელთაც დაპკარგეთ მოთბინება! რასა იქმთ თქვენ, როცა უფალი გიხილავთ თქვენ?

უფალმა აღამაღლა მამა შელითა ზედა და მსჯავრი ღედისა დამტკიცა ძეთა ზედა.

რომელი პატიესა სცემს მამასა, განიწმიდების ცოდვისაგან და სინარული ექმნების შეილთაგან, თვისთა და ვედრების დროს უფალი შეისმენს მის ლოცვას, რომელიც პატიესა სცემს ღედას, იგი შეიკრებს საუფჯეთა.

პატივისმცემელი მამისა იქმნების ღევკრძელ, და მოჩიოთ უფლისა განუხენებს ღედასა თვისსა. მოშიშ უფლისა პატიესა სცემს მამასა და, როგორც ღედოფალს, ისე ემსახურება მშობელთა თვისთა.

საკმით და სიტყეთ პატიეი ეცი მამასა შენსა და ღედასა, რათა მათი კუროხევა გადმოვიდეს შენ ზედა; ვინაიღან მამის კუროხევა დამტკიცებს სახლთა შეილთას, ხოლო წყვე ღედისს ამოფხერის საფუძელად.

შაველითა გულითა შენითა პატიეც მამასა შენსა და ნუ დაივიწყებ ღედის მუწხარებათა მშობიარობის დროს.

შახსოვდეს, რომ შენ მათგან ხარ შობილი, და რა შეგიძლია შენ მისცე მათ ნაცვლი მისსა, რაც მათ შენ მოგანიჭეს?

ნუ ემებ ღიდებას მამის დამკირებაში, ვინაიღან შენთვის ღიდება არა არს მამიშენის დამკირება. ძაკის ღიდება წარმოსდგება მამის პატიოსანებისაგან, და ხსიარცხა არის შეილთათვის, თუ ღედა უპატიეცემულიად ჰყავთ.

შეილო, შეეწიე მამის სიბერესა შინა და ნუ განახლებ მას მის ცხოვრებაში. კიდევ რომ მოაკლდეს მას მეციერება, მაინც მორიდება გქონდეს და ნუ შეურაცხყოფ მას შენი მოქმედებით; ვინაიღან წყალობა მამისადმი არა დაივიწყებულ იქმნების. მწუწხარების ღდეს მოგცემენოს შენ და როგორც სითბოსაგან ყინული ღადნება, ისე ღადნენ ცოდვანი შენნი.

რომელი დაუტეებს მამასა, იგი არის მსგავსი ღდეთს მგამობელისა და წყეულ არს უფლისაგან გამახვლებელი ღედისა თვისისა.

შარს ნუ ეტყვი გლახას სახრდოზე და ღიდ ხანს ნუ მოაკლდევინებ გაჭირებულთ. შარს ნუ ეტყვი დაზავულს, რომელიც ვიხოვს შემწყობას, და ნუ მოაოილებ თვალსა შენსა გლახას; ვინაიღან როგორც წყალი აქრობს ცეცხლის ალს, ისე სამოწყალო სწმინდს კაცს ცოდვებისაგან.

ნუ აარილებ თვალს მიხრენელს და ამით მიხვხს ნუ მისცემ კაცს დაგწყველოს შენ; ვინაიღან როცა ის მუწხარებასა შინა მყოფი დაგწყველის შენ, მისი შემქმნელი შეისმენს მის ვედრებას.

მანრისებელი კაცის გულს ნუ შეადრწუნებ, და ნუ დაუგვიანებ მისსაქმელს მათ, რომელნიც საჭიროებენ. თანეფ ყური გლახას და მოექტე მასს მოფერებით და თოდამბლად.

იხსენ შეწუხებელი ხელიღან შემაწუხებელისა და ნუ იქმნები სულმოკლე ოდეს ხვიღე. იყავ ობოლთათვის, როგორც მამა და ნაცვალ ქმრისა ღედისა მათისა და შენ იქმნები ვითარცა ძე მალლისა და შეგიყვაროს შენ უფროსად ღედისა შენისა.

ნუ დაიშურებ სიტყვას, როდესაც შენს სიტყვას შეუძლია შემწეობა აღმოუჩინოს ვისმეს, ვინაიღან სიტყვათა შინა იცნობის სიბრძნე და სწავლა ენის მეტყველებათა შინა.

წინ ნუ აღუდგები ჰემარიტებას და გრცხვენოდეს უსწავლელობისათვის შენისა, ნუ გრცხვენის შენი ცოდვების აღსარება! ნუ იქმნები მოსწრაფე ენითა შენითა, ნუ იქმნები ზარბაცი და უნაღვლეი შენს საქმეების შესახებ.

ნუ დაუმორჩილდები სულელ კაცს და ნუ მიხვდავ ძლიერსა; სიკვდელადე იღეწე ჰემარიტებისათვის, და უფალი ღმერთი დაგიფარავს შენ.

ნუ იქმნები ვითარცა ლომი სახლსა შინა შენსა



და ფიქსელ ცხიერი მონათა შორის შენთა. ნუ იქმნების ზელი შენი განზარტებულ სესხსა ზედა, და მიტევაღ მოაბუქულ.

იმედი ნუ გაქვს შენი მონაგების და ნუ იტყვი: ვინ არს ჩემზე უფროს? ვინაიღვან უფალი მედილურობისათვის დაგვის შენ.

იყავ მტკიცე მეცნიერებასა შინა შენსა და ერთი ოდენ იყოს სიტკეა შენი. იყავნ ყურადღებით და მოაფიქრებით მიეცი პასუხი.

თუ გაქვს ცოდნა, მიუფე მოკვასს, და თუ არა, მაშინ იყავ ზელი შენი პირსა შენსა ზედა. ვინაიღვან ლაპარაკში იცნობების კაცის დიღება და უპატიოეება, და ენა შეურაცხყოფის კაცსა.

ნუ იქმნები ვაჟში ში და შენი ერთი ნუ ბოროტობ, რადგან მპარავსა ზედა არს სირცხვილი და ზრახვა ბოროტი ორ ერთვან კაცთა ზედა.

სასა ტუბილი განამრავლებს მეგობართა თვისთა, და კეთილ-მეტყველი ენა განამრავლებს კეთილ-მეტყველებასა. ნაცვლად მეგობარისა ნუ იქმნები მტერ, რადგან ცული სახელი დამისახურებს სირცხვილსა და ყვეღობასა.

მკადე, რომ ბეგრი ვკაბედეს მეგობარნი, ხოლო შენ თანამზრახველ იყოლიე ერთი ათასთავან. ყველა მეგობარი კი არ გამოგადგება გაჯირვებაში; არის ისეთი მეგობარი, რომელიც მტრად ვადიქცევა და შენი დამცირების დროს, იგი შენ წინააღმდეგ წავა.

თუ ვინდა შეი ინო მეგობარი, შეიძინე იგი გამოცდის შემდეგ, და მალე ნუ მიენლობი მასს. განეშორე შენ მტერთა და ვაფრთხილებით იყავ შენ მეგობართან.

სარწმუნო მეგობარი არის ძლიერი საფარველი; ვინც მოიპოვა იგი, მოიპოვა საუნჯე. სარწმუნო მეგობარისთანა არა რაი არს, იგი არის დაუფასებელი; სარწმუნო მეგობარი არს წყაალი ცხოვრებისა.

სულს ნუ სწამებ შენს ძმას და მოყვასსა შენსა; მეგობარს ნუ ვასცელი საუნჯეზე, შენს ლიერძო ძმას ნუ ვასცელი ოქროზე.

ჩრჩევს ნუ იქმ სულელ კაცთან, რადგან მას არ შეუძლია სავისი დაფარვა. ვარეშე პირთან ნუ იქმ რაიმე ფართულ საქმეს, რადგან არ იცი, თუ რას იზამს იგი. შენს გულს ნუ ვადეღული ვეცლას, რომ მან სამაგიეროდ ცული არ მოგავოს.

ნუ დაუტყვებ ძველ მეგობარს, რადგან ახალ მეგობარს არ შეუძლია იმას შეეღაროს. ახალი მეგობარი მსგავსია ახალი ლეონისა: როცა ახალი ლეონი დაძვილდება, სიამოვნებით დალევ მასს.

ნუ იქმ ბოროტსა, და არც შენ გეყვეს ბოროტი; ვანეშორე უსამართლოებას, და იგიც განგეშორება შენ. ნუ სთესავ ნაკვალევთა ზედა შენთა უსამართლოებას და არა გაქენდეს მომკად იგი შეიღწილობით.

ნუ ვანეშორები მტირალთავან და მწლხარეთათანა სწუხდე. ნუ დაიზარებ სნეულთა ნახვის, ვინაიღვან შენ ამისათვის იქმნები შეყვარებულ. ყოველ საქმეთა შენთა ვახსოვედს შენი უქანასქნელი დღე და არას დროს არ შესცოდებ.

ნუ დასძინებ ცოდვას ცოდეთა ზედა, რადგან ერთი ცოდვისათვისაც არ დარჩები დაუსჯელი; ნუ დასძინებ კაცსა მწუხარებასა შინა მყოფსა, ვინაიღვან არის დამამდაბლებელი და ამამაღლებელი.

ნუ ვერიდები ძნელ სამუშაოს და მიწის მუშაობას, რომელიც დაარსებულა უზენაესისგან. შეეთესისა ის, ვინც მრომობს და ყოველივე აქვს, ვინც ის, რომელიც უსაქმოდ დადის და საზრდო არა აქვს. არ უნდა მშურაძკყო გონიერი ღარიბი, მაგრამ ამავე დროს არ უნდა აღიღო ცოდვილი კაცი.

ნუ აქებ კაცს სილამაზისათვის და ნურც შეიძულებ მას მისი ვარგვანი შენედულებისათვის. მტირ ღროს იზრომებ წყლისათვის და მალე კი დასატუბებ მისი ნაყოფით.

სანამ კარვად არ გამოიძიებ, ნუ აუფებ; პირველად ვიგე და მერე უსაყვედურე, სანამ არ მოისმენ, პასუხს ნუ მისცემ, და ნურც ლაპარაკის დროს შეიჩერებ ვისმეს. ნუ დაობ ისეთ საქმეზე, რომელიც შენთვის საჭირო არ არის, და ნურც ბევრ საქმეებს გამოეცილებ; როცა ბევრი საქმეები გაქვს, უღანაშულოად არ დარჩები, და თუ ბევრ საქმეებს გამოეცილებ, ერთსაც ვერ ვაჯავებ.

მაცს თავს ნუ მოაბეზრებ, რომ სულ არ ვაგვადონ შენ და ნურც ძალიან ვანშორდები, რომ სულ დღეიწყებული არ იქმნე.

ვანეშორე ცოდვას, როგორც გველს; ვინაიღვან, თუ მიუხსლოვი მასს, იგი ვიკებნს შენ. მისი კბილები მსგავსია ლომის კბილებისა, რომელიც კვლავენ კაცთა.

ვინც აწენებს თავის სახლს სხვისი ფულებით, იგი მსგავსია იმ კაცისა, რომელიც ამზადებს ქვებს თავის სასაფლაოსთვის.

(შემდეგი იქმნება).

სასარგებლო ცოდნა.

ნიშნები და მიმდინარეობა ზომიერათ გადაღობ ნაშუაგბათა.

მკვლესიის კრებულის ყველა პირთა, განსაკუთრებით მღვდელთა, სასულიერო წესთა აღსრულების დროს, ძლიერ ხშირად აქვსთ საქმე გადამღებ სენით ავთამყოფებთან, ან მათგან გარდაცვალებულებთან. აშკარაა, რომ ამასთანავე შესაძლებელია სენი ადვილად გადაედოს სასულიერო წესთა შემსრულებელ პირთა, მაგრამ სახეში ისიც უნდა ეიქონიოთ, რომ გადამღები სენი ადვილად შეიძლება გადაეიდეს მრთელ კაცებზედ ავთამყოფობის მხახველ პირთა ტანისამოსის ან იმ საგნების საშეალებით, რომლებსაც ავთამყოფნი ხელს ჰკიდებენ და ეტებინან. ამწარიად ყვბილი, დიფტერიტი, ყელის ტუივილი, ტიფი და სხვა ავთამყოფობანი ადვილად გადადნიან ავთამყოფის სახლობებიდგან მრთელ ოჯახებზედაც. ეკვლესიის კრებულის ოჯახთა წყვრნი, განსაკუთრებით ბავშვები, ყველაზე პირველ ვარდებიან ამ განსაცდელში, რის მავალითები იშვიათი არ არის.

რასაკვირველია, ესრეთი შიშის გამო, ეკვლესიის კრებულმა, გადამღები სენის გაჩენის დროს მრველში, უნდა მიიღოს ექიმებიდგან ნაჩვენები სიფრთხილის ზომები, და, თავის ვაფრთხილებასთან ერთად, აუხსნას ხალხს, თუ რა სენია და ვაფრთხილოს ხალხი, რომ გაყოლით არ ვაფრცვლდეს ავთამყოფებიდგან მრთელებზე, სანამ მოვა ექიმი და ნამდილოად განსაზღვრავს ავთამყოფობა, მღვდელს ავთამყოფობის გაჩენისთანავე შეუძლია უთხრას ხალხს, რომ ის გადამღებია და შეუდგეს სენთან ბრძოლას. ამისათვის საჭიროა კრებულის ვაეტრას ნიშნებს უფრო მძიმე ვადამღებ სენთა, რომელნიც ძლიერ ხშირად ჩენი გრცელი სამშობლოს სხვადასხვა ადგილებზე ვადამღებულან ვადამღებ სენებთა და სიცოცხლის უსაბებ მრავალ ათას ადამიანთა ყოველ წლობით.

ამ მიზნით ჩენ ვადგუჯდეს მოკლე აღწერა ამა სენთა პირველი ნიშნებისა და მიმდინარეობისა.

ვადამღები სენები, რომლებიც ჩვეულებრივ ვადადებინან ერთ დროულად ანუ თან-და-თან მრავალ ხალხს და ამიტომ ცოტად თუ ბევრად იწოდებიან, ხალხურ—ჩამომრებ სენებთ, განსხვავდებიან მით, რომ ისინი წარმოსდგებიან იმ შრომიდგან, რომელიც ვარედგან შედის ჩენ სხეულში. თითოეულს ამ სენთაგანს აქვს თავისი განსხვავებული შხამი, რომელიც ყოველთვის გამოიწვევს განსაზღვრულს ავთამყოფობას.

შემეტვის ნაწილი ვადამღები სენებისა იწყება და მიმდინარეობს სხეულის დიდის სიცხითა, სხვა საყარი სენები კი, რომელთაც სიხშირითა და სიმძიმით პირველი ადგილი უჭერიათ ვადამღებ სენებში, განსაკუთრებით სიყმაწვილეში, თითქმის ყველა იწყვენ დიდს სიცხეს.

ავთამყოფობის სიცხე, შინაობაში, ტერმომეტრს ვარდა, შეიძლება ვაიზომოს ხელის მიდებით ავთამყოფის სხეულზე, განსაკუთრებით გულზე, დღიებში, და აგრეთვე პირზე, ანუ შუბლზე. სხვა ავთამყოფობის მოვლენანი, რომელნიც სიცხეს მოჰყვებიან, თუმცა ზოგჯერ ძნელი შესამჩნევი არიან, მაგრამ შემეტს შემთხვევაში შეიძლება აღმოაჩინონ ისეთმა პირებმაც, რომელთაც სამკურნალო მეცნიერება არ უსწავლიათ, ერთსა და იმავე დროს სიცხესთან შეიძლება შეენიშნოთ: ციება, მომეტებული წყურვილი, უმადობა, მოთეთრო ენა, პირის სიწითლე, დაღალულობა, თავის ტუივილი და ყოველი საქმისაგან მალე დაქანცვა. ყველა ეს ნიშნები, ანუ შხოლოდ ზოგიერთი მათგანი, როდესაც სხვა-და-სხვა წარიად შეერთდებიან და სხვა-და-სხვა ხარისხამდე აღენ, უჩვენებთ ავთამყოფობის გაჩენს.

სიფრთხილის მიზეზები, რაც უნდა უქვეყლი და საიმედო იყენენ ისინი, შხოლოდ მაშინ მიხსწვენ თაიანთ მიხანს, როდესაც ისინი იხმარებიან თავის დროზედ. ამასთანავე უნდა ვვასოიდეს, რომ ვადამღების სენის საშიშროებაზე და სიმძიმეზე არაოდეს არ უნდა ვსაჯოთ მისი პირველი გაჩენის ხასიათისა

და გვი: ერთს რომ მსუბუქათ დემართოს ესრეთი სენი, შეიძლება მეორეს სასტიკად და მძიმედ აღმოაჩნდეს.

შპირველეს ვაღამღებ სენთს ეკუთვნის:

- შევილი
- დიფტერიტი
- ყვლისტიკიელი
- წითელი
- ღრი ხველა
- ხურევა
- მუცელი.

შევილი.

შევილი იწყება ღლის სიციხთა, ზოგჯერ პირისღებით და წელის ტკივილით. აუთმყოფს ძილი ეკიდება და ზოდაც. მესამე დღეს სიცხე კლებულობს და ჰერის, ჯერ პირზე, შემდეგ დანარჩენ სხეულზე წამოზებრილ წითელ-წითელ რგავლ-რგავლ წინწკლებით, რომელიც თანდა-თან დიდდება და ვადიკციან ბალღმიან მუწუცებათ. ჩვეულებრივ 3-4 დღეს მთელი ტანი იფარება მუწუცებით; ზოგჯერ კი ყრა რამდენიმე დღეზე მეტი გრძელდება, შემდეგ 4 ან 6 დღისა მუწუცები ჩირქდება; როცა მსუბუქად ეკიდება ეს სენი აუთმყოფს, ამ ხანაში სიცხე თითქმას ჩვეულებრივია,—თუ ძლიერ დაჩირქდა მუწუცები, მაშინ აუთმყოფს ემართება ჩირქის ციება. შემდეგში მუწუცები შრებიან, ხმებიან, სცივიან და სტოვენ მოშაო წინწკალს ანუ ნაწიბურს.

ნარევი

ღამღუჭელი შედეგი მთვრალობისა.

რუსეთში უოკელ წლობით მთვრალობისგან გვლება 400 ათასი კაცი (ერთი რუსული გასეთის სიტყვით 1870 წლიდან 1874 წლამდე რუსეთში მომკვდარა მთვრალობისგან 25,429 კაცი). ზრდოფსონის შერეუკესენ გამანგარნიშებით რუსეთის საჯადამყოფოებში ასს სულთა-ჯადამყოფეც ორმოცდა ორი შერეულა

შეგუსე მთვრალობისგან. ამერიკის შეერთებულ შტატებში 1860 წლიდან 1870 წლამდე მთვრალობის მარუსნია სიცოცხლე 300,000 დამანისთის; 100,000 ემაწელი მთვრალბასეკ წლობით შესულა სეკელ-მთქმელა სასლებში და 150,000 დამანთ გაუტუსნია სხეურობლეში და სახეშაო სასლებში; მთვრალბისგან მომხდარა 2,000 თაის მკვლელობა და 20,000 ჰერიე დედ-კრე და ერთ მილიონამდე ობოლი დარჩენილა უსს-კაროდ. კერმანში, როცა 32,000 ტუეს გამჭკითესკ მათი დანაშაობის მიზეზი, აღმოჩნდა, რომ ზტიმართ უმეტესი დანაშაობა ჩაუღნათ მთვრალბის დროს, საზოგადოდ ასს დანაშაობაში სომრება თხუთმეტი ხდება მთვრალბის დროს. სამასს ზეშეში შეგუსე შეშობობის ნანსები აღმოჩნდა 145 ემაწელს შემთვრალთა შეილება. დაზტიმრებულ ქალთა შორის უმეტეს რატესკ შედგენენ ისინი, რომელნიც მაკარ სასებებს კრახებან (სეკველენია მსარებელი).

რამდამიტი პასუხი.

მღვდელს ვ. მ.— თქვენ გსურსთ შეიტყოთ, თუ რომელ დღეებში არ შეიძლება გვირგვინის აურთხვა. გადახედეთ ჩვენგან გამოცემული მღვდელთათვის სახელმძღვანელო წიგნი, რომელიც ყველა ეკლესიაშია და იქ ნახავთ დაწვრილებით განმარტებას ამ საგნის შესახებ.

დანარჩენი თქვენი სიტყვები განუპარტებლად ცხადია ეფელასათვის. თქვენ იყრებით: „შეუძლია თუ არა მრევლის მღვდელს უქმე დღეს დასტოვოს თავისი მრევლი და ეგლეოსია და ამ დღეს წაყვეს მუართ იცდა-ნუთ ვერსტუედ თავის სამრევლის სასიძოს, მივიდეს სნეა სამრევლოში და სასმლოის სამრევლის მღვდლის ნებადუროფელად გვირგვინ აურთხოს და ისიც იბსესე შეუდგენილად? რომ ესეები მღვდელს არ შეუძლია, ვგონებ, გლენებაც კი იციან! ამას რაღა განმარტება უნდა?!.....